ზავოლოკა ლატვიის წინააღმდეგ

Zavoloka v Latvia

საჩივარი N 58447/00

გადაწყვეტილება 7.7.2009 [სექცია III]

მუხლი 13

ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალება

კერძო პირის უბედური შემთხვევის გარდაცვალებისათვის, მორალური ზიანისათვის კანონიერი სამართლებრივი დაცვის საშუალების არარსებობა: დარღვევა არ დადგინდა

ფაქტები: მომჩივნის 12 წლის შვილს ქუჩაში გადაუარა და მოკლა მანაქანამ, რომელსაც მართავდა კერძო პირი. მძღოლისთვის ბრალის წაყენების შემდეგ მან მომჩივანს თვითნებურად გადაუხადა 2600 ევრო, დაკრძალვის ხარჯების დასაფარად. პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ ცნო მძღოლი და 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ამის შემდეგ მომჩივანმა მძღოლის წინააღმდეგ შეიტანა სამოქალაქო სარჩელი პირველი ინსტანციის სასამართლოში მისი ქალიშვილის გარდაცვალებით მიყენებული მორალური ზიანის ფინანსური ანაზღაურებისათვის. მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან სამოქალაქო კოდექსში არ არსებობდა დებულება რომელიც ახლო ნათესავის გარდაცვალებისთვის პირს ანიჭებდა მორალური ზიანის ანაზღაურებას. მომჩივანმა აღნიშნული გაასაჩვრა რეგიონალურ სასამართლოში, რომელმაც დაადგინა, რომ მას მძღოლისაგან სრული კომპენსაციის უფლება ჰქონდა. მძღოლმა შეიტანა საკასაციო საჩივარი. უზენაესი სასამართლოს სენატმა მიიჩნია, რომ საქმემ წამოჭრა სამოქალაქო კოდექსის განმარტების სერიოზული პრობლემა, შეაჩერა საქმის განხილვა და მოიწვია უზენაესი სასამართლოს პლენარული სხდომა, რომელმაც წინასწარი დადგენილებით განაცხადა, რომ სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები კომპენსაციას ითვალისწინებდა მხოლოდ დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, ხოლო არამატერიალური ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებული იყო მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის იმ ნაწილით, რომელიც არ შეესაბამებოდა მომჩივნის საქმეს. სენატმა გააუქმა რეგიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადასცა სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც სენატის დასკვნები მიიღო

არსებითად და არ დააკმაყოფილა საჩივარი. სენატმა არ დააკმაყოფილა მომჩივნის შემდეგი საჩივარი და ძალაში დატოვა გადაწყვეტილებას.

სამართალი: მომჩივნის ერთადერთი დავა ეროვნულ სასამართლოებში იყო ის, რომ მათ არ დააკმაყოფილეს მისი კომპენსაცია მორალური ზიანისთვის, რომელიც მან სავარაუდოდ განიცადა; ამდენად, მისი საჩივარი ეხებოდა მხოლოდ კომპენსაციის შესახებ სამართალწარმოების არაეფექტურობას. შესაბამისად, იგი უნდა განხილულიყო კონვენციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

იმ დროსთვის, უბედური შემთხვევებით დაზარალებულთა ოჯახის წევრთა კომპენსაციას არეგულირებდა სამოქალაქო კოდექსი. ერთი დებულება მოიცავდა მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას, ხოლო მეორე დებულება კი მორალური ზიანის ანაზღაურებას, გარკვეულ შემთხვევებში, რომელშიც არ შედიოდა მომჩივნის შემთხვევა.

რაც შეეხება კონვენციის მე-2 მუხლის არსებით ნაწილს, მომჩივნის ქალიშვილი დაიღუპა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, რაც გამოწვეული იყო კერძო პირის მიერ საჭესთან გამოჩენილი დაუდევრობით. შესაბამისად, ხელისუფლებას არ შეეძლო წინასწარ განესაზღვრა ასეთი რისკები და ამდენად იგი ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი შემთხვევაზე. ამასთან ერთად, მე-2 მუხლის დარღვევა არ იყო სახეზე, ვინაიდან ხელისუფლებამ ფაქტობრივად აამოქმედა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი მექანიზმი. შესაბამისად მომჩივანი ვერ იდავებდა მე-13 მუხლის შესაბამისად, რადგან სახეზე არ იყო მე-2 მუხლის არც ერთი ასპექტი. რაც შეეხება მომჩივანის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურებას, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში სიკვდილის შედეგად კომპენსაციასთან დაკავშირებით სამართლებრივი მოწესრიგება მრავალფეროვანია, სტრასბურგის სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ არსებობდა ზოგადი და აბსოლუტური ვალდებულება, რომ მომჩივნის მსგავს საქმეებში, უნდა მოხდეს მატერიალური ანაზღაურება არამატერიალური ზიანისათვის. გარდა ამისა, მომჩივანს ჰქოდა შესაძლებლობა სისხლის სამართალწარმოებაში ჩართულიყო სამოქალაქო მხარეთ და მოეთხოვა სამედიცინო და დაკრძალვის ხარჯების დაფარვა, თუმცა ამის მაგივრად მან მძღოლის მიერ შეთავაზებული თანხა მიიღო.

საბოლოოდ, ახალმა კანონით მოხდა სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებების შესწორება, რომელიც უკვე პირდაპირ ითვალისწინებდა არამატერიალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, როგორც კომპენსაციის ზოგადი უფლების ნაწილს. გარდა ამისა, იგი უშვებდა

მორალური ზიანის არსებობას სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისას.

მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის სასამართლომ დადებითად შეაფასა კანონში შესული ეს ცვლილება, მან არ მიიჩნია აღნიშნული საქმე თავისთავად მე-13 მუხლთან შეუთავსებლად. შესაბამისად, საქმის ყველა შესაფერისი გარემოების გათვალისწინებით, ამ საქმეში არ არსებობდა მე-2 მუხლის დარღვევის სადავო მოთხოვნა, მომჩივნისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ.

დასკვნა: არ არის დარღვევა (ექვსი ხმით ერთის წინააღმდეგ)